



საქართველოს კულტურის სტრატეგია

სამუშაო შეხვედრა რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონში

ამბროლაური, 2015 წლის 13 მარტი

სესია

შემოქმედებითი და კულტურული ინდუსტრიები

მოდერატორი : მაკა დვალისვილი, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი

ასისტენტი: თამუნა კიკნაძე, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი

მონაწილეები :

მამუკა ლიპარტელიანი, ლენტეხის კულტურის ცენტრი, არქიტექტორი

თამუნა მეშველიანი, სამხატვრო სკოლის დირექტორი, ხელოვნების ისტორიის პედაგოგი

მარეხ აფაქიძე, ტურიზმის მენეჯერი, ლენტეხი

ბიქტორ გაზრდელიანი, გამგეობა, ლენტეხი

ბუღუ რეხვიაშვილი, ხალხური რენვის ოსტატი, ონი

თენგიზ გამყრელიძე, ხალხური რენვის ოსტატი, ონი

ვასილ მამისურაძე, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქართული ოცნების თავმჯდომარე

ზაურ გრძელიშვილი, ხალხური რენვის ოსტატი, ონი

გია დავითელიანი, ცაგერის სამხატვრო სკოლის დირექტორი

დავით ჩიკვაძე, ცაგერის სამხატვრო სკოლის პედაგოგი

ნათელა ლურჯუმალიძე, სამხატვრო სკოლის ხელოვნების ისტორიის პედაგოგი

სამუშაო შეხვედრის მონაწილეებმა, დისკუსიისას, ხაზი გაუსვეს რეგიონში კულტურული ინდუსტრიების მაღალ პოტენციალს (თეატრი, ფოლკლორი, ფესტივალები (ლენტეხობა), ტრადიციული რენვა (თექა, გობელენი, ხე, ქვაზე კვეთა, კონცერტები, გამოფენები, მხატვრობა, კულტურული მემკვიდრეობა, კულტურული ტურიზმი) და გამოთქვეს კულტურის სექტორული გამრავალფეროვნების სურვილი (მაგ. თანამედროვე მუსიკა).

სამუშაო შეხვედრაზე ძირითად პრობლემად გამოიკვეთა:

ნაკლები ინფორმირებულობა კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების სფეროს და მისი ეკონომიკური პოტენციალის შესახებ.

- დაბალია ცნობიერების დონე კულტურული ინდუსტრიების სფეროზე
 - საზოგადოება ნაკლებად ინფორმირებული დარგის შესახებ
 - დაბალია დარგის წარმომადგენლების ცნობადობა
 - არ ხდება ადგილობრივი თვითმყოფადობის შენარჩუნება

პრობლემის გადასაჭრელად **განსახორციელებელ ქმედებად** გამოიკვეთა :

- კულტურის მეტი პოპულარიზაცია და საზოგადოების ინფორმირება

ინსტიტუციონალური პრობლემა :

- კულტურის სფეროში სახელმწიფოებრივი სტრუქტურის არასრულფასოვნება და დეცენტრალიზაციის დაბალი ხარისხი
- დასარეგულირებელია ურთიერთობის ბალანსი რეგიონსა და მუნიციპალიტეტებს შორის
- პროექტების არჩევის მეთოდები არ არის გამჭვირვალე
- საჭიროა მოხდეს ა.ა.ი.პ-ების, სახელოვნებო სკოლებისა და ცენტრების მეტი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, კომერციული საქმიანობის დარეგულირება
- მოძველებულია მენეჯმენტის სისტემა

ფინანსური პრობლემები :

- ადგილობრივი ბიუჯეტის სიმცირე; კულტურის სფეროს სრული დამოკიდებულება ცენტრზე.
- საერთაშორისო დაფინანსების ნაკლებობა
- არ ხდება შეღავათიანი კრედიტების გაცემა

კომუნიკაციის პრობლემა :

- მოშლილია კავშირები მუნიციპალიტეტებს შორის

ინფრასტრუქტურული პრობლემები :

- არ არსებობს შესაბამისი ინფრასტრუქტურა და სამუშაო პირობები
- მწირია ტურისტული ინფრასტრუქტურა. მოსაწესრიგებელია კომუნიკაცია ზემო და ქვემო სვანეთს შორის.

საკანონმდებლო პრობლემები :

- არსებობს იურიდიული პრობლემები ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით (ბე, თიხა)

სხვადასხვა პრობლემა, რომლებიც აბრკოლებს კულტურული პროდუქტის წარმოებას :

- ბაზარზე დაბალი წვდომა: ადგილობრივი ბაზარი არ არის მზად იმ ღირებულების საქონლისთვის, რომელიც იქმნება
- კერძო ბიზნესის განუვითარებლობა
- საგადასახადო სამსახურთან ურთიერთობის პრობლემები და რეგიონებში შეღავათების არარსებობა
- ტურიზმის რესურსების არასათანადო გამოყენება

განათლება :

- განათლების პრობლემა მენეჯმენტში
- პროექტების მოძიებისა და წერის უნარის ნაკლებობა
- გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობების ნაკლებობა ცენტრსა და რაიონებს შორის